

ფასი 8 კაპ.



№ 23

გაზ. „კომუნისტი“-ს სალიტ.-სამხატვრო ორგანიზაციის დასაბუთებელი

№ 23

ს ა შ რ ო ბ ა

კვირა დღე იყო ქალაქის ქუჩებზე მოსიერიან აპროლეტულ ხალხში ლურჯ-ხალათიანი მუშებზე ყრივნა. უკვე შუადღე იქნებოდა, როცა საოპერო თეატრის პირდაპირ შუა ქუჩაზე გაჩნდა პატარა ჯგუფი მუშებისა.

პოლიციელი არსად სჩანდა. ჯგუფი თანდათან იზრდებოდა. — დროა! — დაიძახა ვიღამაც და ელვის სისწრაფით პატარა აფრიალდა წითელი დროა — ამხანაგებო! — გაისმა პირველად მშური და საერთო სიყვარულით გამთბარი, აკრძალული სიტყვა.

— კმარა მონობა! კმარა ტანჯვა და ვაგება. ძირს მძარცველები! ძირს ჯალბათები! — მკვეთრად და გაბედულად გადასძახოდა თავმყრილ მუშებს ორატორი მუშა.

- ძირს, ძიიძირს! — გრილდებდა ათასი ხმა
- ძირს თვითმპყრობელობა!
- ძიიძირს!
- გაუმარჯოს თავისუფლებას!
- გაუმარჯოროს!
- გაუმარჯოს მუშათა კლასს!
- გაუმარჯოროს!
- ესროლეთ! დახოცეთ! — გაისმა ბოჭაულის ბრძანება და...

— ტრახ-ტა-ტა-ტა-ტა-ტა-ტა! — ასტყდა საშინელი და ყურთა სმენის გამაყრუებელი სროლა.

აზუზუნდა ხალხზე დავემილ ყაზახების მათარახები. რამდენიმე მუშა გულ-განგმირული დაეცა ძირს.

ეს იყო პირველი დემონსტრაცია. აქ დაიღვარა პირველად რევოლუციონერ მუშების პირველი სისხლი.

ცხენოსანი ყაზახთა რაზმი დედ-მამის ურცხვი გინებითა და მათარახების ტყლავუნით მიგრეკებოდა დემონსტრაციაში მონაწილე მუშებს, რომლებსაც სახე დასისხლიანებულ-დალილაგებულნი ჰქონდათ.

ქანდარმთა სამხარაველოში დაკითხვის შემდეგ ყველას ციმიბირისაკენ უკრეს თავი.

წელიწადი წელიწადს მისდევდა. მუშათა განმანათლებელი მოძრაობა უფრო და უფრო იზრდებოდა.

ქუჩებში გამოსვლები ხშირ ხასიათს იღებდა.

არც მთავრობას ეძინა: რეპრესიებს აძლიერებდა, მაგრამ ამაოდ.

დაპყრა 1917 წელს. დაგუბებულმა ზღვა ხალხის რისხვამ ქუჩებში გადმოახეთქა. გაიშალა მიტინგები. გამოიშალა წითელი დროშები. აგუგუნდა მრისხანე რევოლუციონერი სიმღერები.

დაიძრა მუშათა შევიარაღებული წითელი რაზმები. საკონებელში ჩაეარდა მეფის მთავრობა: დაფრთხა, შეშინდა.

მოძრაობა კი იზრდებოდა, ზეირთდებოდა წალეკით ემუქრებოდა დახავსებულ თვით-პყრობელობის ციხე-სიმაგრეს.

დაიწყო შეტაკებები. აჯანყების წითელი დროშები აფრიალდნენ ყველგან.

ორ უდიდეს სამტრო ბანაკად გაიყო მთელი რუსეთი.

გავარდა მეხი. დაიწყო სისხლის ღვრა.

ბარკადებით დაქსელილ ქუჩებში გააფრთხილი იბრძოდა მშრომელი ხალხი. მუშებმა და რევოლუციონერებმა ჯარისკაცებმა ხელი იგდეს პეტროგრადი. დაიხსნა ციხეები.

ტრიუმფებზე აცივდნენ მრავალ წლობით ტანჯულ-წამებულნი პოლიტიკური პატიმრები. შესდგა დროებითი მთავრობა.

რევოლუციის პირველ ცისკარს ყველა აღტაცებით შეეგება.

მშრომელი ხალხის ხარჯზე გამარჯვებული ბურჟუაზია ძლევა-მოსილ რევოლუციის მონაპოვარს თავის სასარგებლოდ იყენებდა.

— რევოლუცია დასრულდა! ახლა საქიროა შრომა და წესიერება! — ბრძანებდა კერენსკის მთავრობა.

— არა, რევოლუცია არ გათავებულა, იგი ახლა იწყება! უპასუხებდა შევიარაღებული პროლეტარიატი.

— დაივლეთებით! გავნადგურდებით! — ყვიროდა შიშით დამფრთხალი ბურჟუაზია.

— ღიად, თქვენი რუსეთი უნდა დაიღუპოს! თქვენი მოღვაწე უნდა განადგურდეს, რომ იშვას და აშენდეს ახალი, წითელი რუსეთი! თქვენ ამბობთ, რევოლუცია დასრულდაო.

ღიად, თქვენი რევოლუცია, უკვე დასრულდა. ახლა იწყება ჩვენი, მუშური, პროლეტარული რევოლუცია! გადასძახოდა მშრომელი ხალხი.

ძირს ანარქია! გაუმარჯოს რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკას! — გააკვირდნენ მუშათანხმებლები.

— ძირს კონტრ-რევოლუცია! ძირს იმპერიალისტები! ძირს ბურჟუაზია! მთელი ძალა-უფლება საბჭოებს! — აი ის ლოზუნგები, რომლებიც წარწერილი იყო აჯანყებულ პროლეტარიატის მოფრიალე დროშებზე.

ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში პეტროგრადის ქუჩებში უღმობელი და გადამწყვეტი ბრძოლა სწარმოებდა საბჭოთა ძალა-უფლებებისათვის.

მთელი ქალაქს ზარბაზნების გრილისაგან ხანზარი გაჰქონდა.

შენობათა სახურავებზე ტყეისმფრეველებით ჩასაფრებული იუნკრობა და ოფიცრობა დაუზოგავად ქოცტდა ქუჩებში გამოსულ ხალხს.

ამხანაგებო! სახურავებისკენ! — დაიძახა ვილაც გაბედულმა მეზღვაურმა და ივრიალა ხალხმა იქითკენ.

გაიშალა ხელჩართული ბრძოლა.

მუშებმა და ჯარისკაცებმა სწრაფი იერი-შით აიღეს ყველა ის შენობები, სადაც ჩასაფრებული იყვნენ იუნკრები და ოფიცრები.

ხელთ იგდეს მოწინააღმდეგეთა ტყვის-მურქვეველები და სახურავებიდან წითელი დროშები გადმოჰკიდეს.

სასტიკი, ჯოჯოხეთურ და ხანგრძლივ ბრძოლის შემდეგ მთელი პეტროგრადი საბჭოების ხელში გადავიდა.

დამარცხებული მტერი საზღვარ-გარედ გარბოდა.

ოქტომბრის მუშური რევოლუცია ბრწყინვალე გამარჯვებას დღესასწაულობდა.

გათენდა პროლეტარულ რევოლუციის მსხვერპლთა დასაფლავების დღეც.

მთელი პეტროგრადი მორათული იყო წითელი და საშველიარო დროშებით.

მძიმე და მტკიცე ნაბიჯით მიახვეწებდნენ ოქტომბრის გმირთა კუბოებს სამძიმო სასაფლაოსაკენ.

მუშხარეთ გუგუნებდა გლოკის მარში, დრო-გამოშვებით ისმოდა ხალხის ყრუ ქვითინი.

თვალუწყვდენულ პროცესიას მიჰყვებოდა აგრეთვე კავკასიელ მუშათა სახელოვანი წითელი რაზმი, რომელიც პეტროგრადის პროლეტარიატთან ერთად მეღვარდ იბრძოდა ქუჩის ბარიკადებზე.

ვაშა, მათ სახელს! დიდება მსხვერპლებს!

გ. ქუჩიშვილი

ფ ი თ მ ლ ი ე ბ ზ ა რ მ ა

სურათი ერთ მოქმედებათ.

მოქმედანი:

ანდრია.—მამა, 50 წ.
 გიგა.—22 წ. } ანდრიას შეილები.
 ვანო.—20 წ.

ს ც ე ნ ა : ოთახი, უბრალოდ მოწყობილი. ბუხართან, ცეცხლის პირას ხის ანდრია და ჩიბუხსა სწევს. სიჩუმეა. ზამთრის დასაწყისი. გარედან ისმის სიმღერა—ახლოვდება:

„კობეტა გოგო გენაცვალე
 მაგ ვუფუნა თვალბეზია;
 შემობრალე და ნუ დამწვავ
 უღვთოდ, ცეცხლის ალებშია—
 ჰოოოო“...

ვანო: (შემოდის).

ანდრია: რაო, შეილო, იყავი?

ვანო: ჰოოდღე.

ანდრია: მერე?

ვანო: მერე და ისაო, რომ ხვალ უნდა გამოცხადდეთ. (დაჯდება. სიჩუმე).

ანდრია: არა უშავსრა შეილო, უნდა მოიხალო შენი ვალი.

ვანო: ვალი არა, ახლა ის მითხარი შენ! არ წავალ და ის იქნება. რაც უნდათ ის მიჰყონ! (სიჩუმე).

ანდრია: ხარებს ბზე დაუყარე?

ვანო: ჰო. (სიჩუმე).

ანდრია: აი განთავისულებზე რალაცა ხმა რო დადიოდა, რას ამბობენ?

ვანო: რა ვიცი, ოცდაორ წლიანებს ანთავისუფლებენ თურმე ჩვენ იმიტომა გვეკრიფავენ. (სიჩუმე). ეხლა მოშორდი შენს ოჯახს, იხეტილუ საღდაც ყაზარმაშია და მოსკლი ტყვილად...

ანდრია: არა, შეილო, არც ეგრეა და! მამ შენი ფიქრით გიგა სულელი ყოვილა რალა, რომ ეს მეორე წელია იქაა!

ვანო: მამ არა და ჰკვირანია!

ანდრია: გიგაც ეგეთი იყო შეილოსა, მაგრამ აი, ნახე თავის ხელით იწერება წერილებს... (ვანო ფანჯარას მიადგება. ისმის ძაღლის ყეფა და: „ცუგა! ვედარ მიცანი შე ვერანა?!“ ყეფა მისწყდება).

ვანო: (უხარიათ). მამა! ჩვენი გიგა! (კარი-სკენ წავა).

ანდრია: გიგაი?! (გახარებული წამოდგება).

გიგა: (შემოდის წიგნებით, გაზეთებით დატვირთული). ოო, გამარჯობა მამა! რასა იქმ ვანო? (ორივეს ხელს ართმევს და ვადაპკოცინის. წიგნებს და გაზეთებს მაკიდაზე დააწყობს).

ვანო: (დარცხენით). ეჰ, ვარ რალა!..

ანდრია: სხვა, რასა იქ შეილო?

გიგა: არა მიშავსრა მამა. მე შენი დარდი მქონდა. (მზიარულად) დამიბერდი მამაჩემო, ჰა, დამიბერდი! (შემოატრიალებს რამოდენიმეჯერ).

ანდრია: მოიცა შე ცულულუტო, თავბრუ ნუ დამახვიე.

გიგა: (იციინის). დაბერდი ვანა!

ანდრია: (ხუმრობით) შენაირებს ჯერ კიდევ ბევრს და ითრევ ქეჩოდან!

გიგა მართლა მამა?! (იციინის). აი მამაჩემო ჩემი წლიანები განათავისუფლეს და მეც გამოვეშურე სოფლისკენ,—შეიარალებული.

ანდრია: შეიარალებული?! (იციინის) რა ვიცი, ე თოფი კი არასა დაგვეს და!

გიგა: აი თოფზე ძლიერი იარაღი! (მაგიდაზე დაწყობილ წიგნებზე და ჟურნალ გაზეთებზე უჩვენებს). თუ ეს იარაღი იცი, თოფის მოხმარება არ გაგიჭირდება; უამისოდ თოფი ბნელი საქმის მსახურია.

ანდრია: აბა ეხლა შენს ძმასა ჰკითხე; ეხლა გაიწვიეს მავის წლიანები ჯარში და ეგ კი გაურბის—რა მინდა იქაო.

გიგა: რაო?! ეპეე! ეს არ ვარგა, ვანო. მეც ეგეთი ვიყავი, შარშანა, როდესაც არაფერი მესმოდა, მაგრამ ეხლა, როდესაც გავიგე, თუ რაშია საქმე;—აი, მე, ცოტად თუ ბევრად შეგნებული დავბრუნდი შინ.

ანდრია: ეგ რაც ბერუანთ ანიკოს გადაეციდა, მას მერე ლაზარდაარაობის მეტი აღარა ახსოვსრა. (დაჯდება ბუხართან). ეჰ, რატომ ეხლა დედა-თქვენი ცოცხალი არაა, რომ ენახეთ—რამოდენები დაიხარდნით. (სიჩუმე ფიქრებს მიეცემა).

გიგა: მართლა, ვანო?! (ხელს მხარზე დაადებს). მომილოცავს. მაგრამ ჯერ მოვალეობის შესრულება, პირნათლად, ჩემო კარგო და შემდეგ ეგაა... მართლა! (ვანზე გაიყვანს). ჩემო ნატო როგორაა?

ვანო: წელანაც მეკითხებოდა შენზე; წყაროზე იყო.

გიგა: ჩემი ნატო... (მღიმარე სახით ჩამოჯდება ფანჯარასთან, სიჩუმე). სხვა, მამაჩემო. (ადგება, ნივა და მხარზე ხელს დაადებს). რას ჩაფიქრებულხარ?

ანდრია: რალაცა ფიქრებმა წამიღეს, შეილო; თქვენზე ფიქრობდი...

გიგა: ყოჩაღათ იყავი მამა, ეხლა ჩვენზე ნულარა დარდობ; სწავლის შემდეგ ჩვენ ადვილად გავიკვლევთ ცხოვრების გზას; დღევანდელი დროება ამის საშუალებას ყველა მშრომელს აძლევს და წითელი ყაზარმა ხომ ნამდვილი სკოლაა...

ანდრია: აი ეხლა, ბიჭო, შენი დაქორწინების დროცა და... ი გოგოც მეცოდება, სანთლისევე დადნა შენს ლოდინში...

გიგა: ო, ნატო? (სიჩუმე) მაგასაც მოვესწრებით, მამაჩემო! (მზიარულად). ეხლა რას იტყვი მამა: ძველ დროი სჯობდა თუ ახალი?

ანდრია: აბა ამას რალა კითხვა უნდა! ბატონი მე აღარა მყავს და პრისტავ სტრანეიკებზე ჩემი თავის ბატონი მე ვარ ეხლა. ეენაცვალე ჩვენ მთავრობასა, კარგი ნაფუხარი მიწა მომცეს, ორი დღიური, აი ბატონიანთ რო ჩამოართვეს რალა, და სავენახე წაბლარუსთან. ეხლა ვერავინ წაპართმევს იმას!

გიგა: ვარც, ვერა მამაჩემო, უნდა დავიკვათ ჩვენი ოფლი და სისხლით მონაგარი ქონება, თავისუფლება.

ანდრია: აი შეილო ვანო, ესეც შენზე უარესი ჯიუტი იყო, მაგრამა, ნახე როგორი ბიჭია ეხლა.

გიგა: არა ძმაო ვანო, ეხლანდელი წითელი ყაზარმა ნამდვილად უფრო წითელი სკოლაა და არა ჰგავს ძველ, მეუის დროის ყაზარმას, საიდა: მუშის და გლეხის შეილებს სიბნელეში

ამყოფებდენ და ყურმოჭრილ მონათ ზრდიდენ—ისევე თავისივე მშობლების წინააღმდეგ ასისანებდენ, რათა დაეცვა მეფე, მდიდრები, ბატონები და ყველა არამშაღები, ეხლა შენ იქ ისწავლი სამხედრო ცოდნასთან ერთად ყველაფერს. იქ დაწყებული უფროსებიდან, სამხედრო კომისრიდან, პოლიტბელიდან—შენი მასწავლებელი იქნებიან. მომეცი ფიცი, რომ იქნები პატიოსანი წითელიარმიელი მშრომელთა სადარაჯოზე, ფხიზელი გუშაში საყვარელი წითელი დროშის და შეისწავლი ყველაფერს ისე, როგორც მე და უკეთესადაც. ვანო: ვფიცავ დედას!

გიგა: ყოჩაღ ძმაო! (პაუზა). ო, საყვარელო დედიკო! (სიჩუმე). მამ ასე, მოემზადე, გახსოვდეს, რომ შენ მილიხარ წითელ ყაზარმაში, სადაც ეზიარები მზის სინათლეს. მუშურ-გლეხურ რესპუბლიკაში არ უნდა იყოს არც ერთი წერა კითხვის უცოდინარი. ასეთია ბრძანება ჩვენი მთავრობისა. იქაა საკუთარი კლუბები, ლენინის კუთხეები, სხვადასხვა წრეები, რომელშიც ჩამბულები არიან წითელ არმიელები სამხედრო მეცადინეობებს შემდეგ. იქ არის კულტურის აკვანი, ჩირაღდანი და ვინძლო არ ჩამორჩე არავის. მართლა! იქვეა კედლის გაზეთები, სადაც ითანამშრომლებ, შენი ლექსები ხომ არ დაგავიწყდა?

ვანო: აბა მეტი რალა ვიცი!

გიგა: ჰო, და, წალი, შეიძინე სწავლა, რადგან, ხომ გავიგონია „თუ კაცსა ცოდნა არ აქვს გასტანჯავს წუთი სოფელიო“. (ხელს მისცემენ ერთმანეთს).

ანდრია: (გახარებული, შუაში ჩაღება და ხელს გადახვევს ორივეს), ო, შეილებო, შეილებო! მისახელეთ, გენეცვალთ მამაი!.. ეხლა ურიგო არ იქნება, რომ ერთა შეენაყრდეთ, თორემა აი, მუცელი დამეფუკა (იქით წავა). ჰო, ვანო, აბა ერთი შენ მარნიდან ღვინო გამოართბინე გოზაურით და ვარაკას წაავდებიან თავი...

ვანო: (გარბის).

ანდრია: შენც გემეება, შეილო, ნამზავრი ხარ. მერე კი ჩემო ბიჭიო, დღეს მინც კვირაა და თბილი დღეა, გავიაროთ იქით უბანში—ლხინი იქნება და გაერთობი.

გიგა: (თავს მოიქექავს) მე მინდოდა ჯერ დეიდანთკენ გამეფილა და...

ანდრია: (თითს დაუქნევს) თუ, იქითიენა, შენ ხომ იცა?.. აი შე..


გიგა: (დაჯდება დარცხენილი) მე... აბა, მამა, ვიდრე ვანო მოვა—მომიჯექ, წიგნებს და გაზეთებს წაგიკითხავს; აბა ყური დამ გდევ...

ანდრია: ოი შენ კი გენეცვალე, აჰა... (დაჯდება) აბა იქ ხომ არა ყოფილიყავი—საიდან შეისწავლიდი.

გიგა: (კითხულობს).

(ყარადა)

ბ. ერ.—ლი.





ქ ვ ე ლ ი ს ა ს ა ლ ე



(ნაწილები წარსულიდან)

გულ-აღმა წამოწოლილი გიორგი ოცნების მორევში ცურავდა...

კინემატოგრაფიული სისწრაფით იშლებოდა განვლილ დროთა მრავალ-ფეროვანი სურათები...

აგერ მისი ხსარტი მეჯინებე, რომელიც თვალის დახამხამებაზე მოგვრდა ხოლმე შეკანხულ ლურჯა ცხენს...

აგერ ფარების გაპვე იოსებ ზაქაშვილი, რომელიც დიდი მზრუნველობით უვლიდა „ყოჩებს“, რადგან იცოდა რომ გიორგი დიდი მოსიყვარულე იყო „ყოჩათა“ გააფთრებული ჭიდაობის...

აგერ მზარეული ნიკო ბარბაქაძეც, მისი ფასი ხომ მთელ თავადებში არაინ იყო? ნიკო ბარბაქაძის დამზადებული ცერიანი წვადები მთელ მზარეში იყო განთქმული...

აგერ ხელზე მოსამსახურეთა მთელი დასტა: ალექსანდრე, მარიამი, ეფროსინე, მატრონე და ვინ იცის კიდევ რამდენი...

ყველა ისინი ერთი ერთმანეთს ეცილებოდნენ ბატონის სიამოვნებაში.

— ნუ თუ გაქრა ყოველივე ეს, ნუ თუ სიზმარივით დარჩა წარსულის მოგონება? — გაიფიქრა გიორგიმ და გადმოიხედა, რომ ერთხელ კიდევ გაესინჯა სინამდვილე.

მესამე დღე მოდიოდა, რაც გიორგის მოსამსახურენი ჩამოშორდნენ, მაგრამ კიდევ არ ჯეროდა...

— ალექსანდრე! გაისმა მისი ბოხი ხმა... სრული სიჩუმე იყო...

— ალექსანდრე, მატრონე! ერთი ერთმანეთზე მიყვარა გიორგისებულმა და ზეზე წამოვარდა.

გაეცემალივით დაიწყო ოთახში სიარული, სიბრაზისაგან სისხლი მოაწვია და აივანზე გამოვიდა...

* * *

გიორგის სასახლე ძველებური სიამაყით ველარ გადაყურებდა სოფელს... მართალია სასახლის სარძირკველს ხავის მოდებოდა, მაგრამ ეს სიძველე ერთ-დროს მის გარეგნობაზე უფრო მისიხანე სახეს აძლევდა...

რამდენი ზეიმი ყოფილა მის ჭერ ქვეშ... რამდენი ჩინ-ტემლაკებიანი ჩამომხტარა ამ სასახლეში...

გიორგის ბურ-მარილი ნაქები იყო მთავრობის წრეებში...

ხელმწიფედ აღწევდა მისი გულუხვი მასპინძლობა...

გიორგის უნცროსი და, ხომ ალექსანდრე მესამეს ნათლული იყო?..

ისე ვერ ჩამოვიდოდა რომელიმე მოხელე ქუთაისის გუბერნიაში, რომ გიორგისას არ შეეგლო და არ ენახა...

* * *

ბუნება გაცისკორენებული გამოიყურებოდა... ძველი სასახლე ცრემლ-მორეული იდგა... ცხოვრების სინამდვილეს მისი ისტორიული სისასტიკე გაეცამტვრებია...

გიორგიმ ძველებური მრისხანებით გადახედა გაშლილ გუბს, მაგრამ მოავინდა, რომ სინამდვილეში მარტო წარსულის სახეები გამოკრთოდნენ, რომ რევოლუციის ტალღას ყველა გაეთანასწორებია და სიბრაზისაგან ქვედა რუქი ჩაიკენიდა...

— Ничего, ничего! ენახოთ მომავალი რას გვიჩვენებს. — იხუტებოდა გიორგი თავს და გაბრაზებული დადიოდა სასახლის ფართე აივანზე...

უეცრად სიმღერის ხმა მოესმა. გიორგიმ ყურებზე ხელები მიიფარა...

სოფლის გლეხობა წითელი დროშებით მოადგა გიორგის სასახლეს...

რევოლუციონური სიმღერის გუგუნით დაიფარა ხაეს მოკიდებული მიდამო... გიორგიმ მოჰკრა თვალი თუ არა სასახლისაკენ მომავალ გლეხებს, მაშინვე იცნო მათში თავისი მოსამსახურენი... ველარ გაუძლო რევოლუციონურ ფერთა ტალღებს. სისხლი თავში აუვარდა, უნდოდა დაეყვირა, „მომშორდით თქვე არაშაღებოვო“, მაგრამ ხმა დაეკარგა, თოფ-ნაკრავივით შევარდა ოთახში და პირქვე დაეშობო...

ეზოში მიტინგი გაიმართა...

ერთი გლეხი მოითხოვდა გიორგის გამოთრევას, რომ ხალხს ჩაექოლა, მაგრამ მიტინგის თავმჯდომარემ შეაჩერა. — „დამარცხებულს არ ცემენო! — მოიყვანა მან ძველი ანდაზა და მარსელიოზის სიმღერით თავისუფალი სოფლები მუშობელ მებატონეთა სასახლისაკენ წაიყვანა...

ბევრ მემამულის სახლში იყო გიორგისებური ტრაგედია, ყველანი გრძობდნენ დანაშაულს და ყოველ წუთში მოელოდნენ განთავასუფლებული ხალხის რისხვას...

მშრომელი გლეხობა ლმობიერი გამოდგა...

* * *

ბუნება პირ-მოქუშული გამოიყურებოდა... რეაქციის ცეცხლი წამოვიდა...

გიორგიმ დრო იხელთა.

პირველი ჯავრი მოსამსახურეებზე იყარა, რამდენი ეხვეწენ გიორგის შინაურები: გეყოფა ამდენი სიბრაზე, დაანებ თავი გლეხებსო, მაგრამ ამაოდ...

გიორგიმ საგანგებოდ დააგრებია ტყავის მთრახი და ყველა მოსამსახურეებს ას-ასი გადაკრა.

იოსებ ზაქიშვილის მოხუცმა ცოლმა ველარ აიტანა ასი მთრახის გადაკრა და სული განუტევა...

გიორგისას ჩამოხტენ ყაზახთა რაზმის უფროსები.

შეიქნა თავდავიწყებითი ქეიფი, დროს ტარება.

შეზარბოშებულმა ოფიცრებმა ქალები მონდომეს.

გიორგის მათთვის ჩიტის რძეც კი მზად ჰქონდა.

წამსვე გაცა განკარგულება, რომ ყველა სოფლის ლამაზი გოგონები იქ მოეყვანათ. ტყეიასა და მთრახს რა გაუძლებდა. ფარასავით მორეკეს პირახვეული ქალები.

გარყენილების მორევში ჩაეფლო თვით გიორგიც.

ამ ამბავმა სოფლის გლეხობა მოთმინებიდან გამოიყვანა.

ყველამ, ვისაც კი ჯოხის ალება მაინც შეეძლო მიაშურა გიორგის სასახლეს. თავს შეეკლავთ და ჩვენ შეიღებს არ გაევაპტიურებებივთო. გაიძახოდნენ. მაგრამ...

გულშემზარავი სისხლის მორევი დადგა...

გაუპატიურებული ქალები თვალცრემლიანი ეხვეწებოდნენ გიორგის: დახოცილთა გვამები მაინც დაგვანებო. მაგრამ ამაოდ...

— ეყარონ ასე მანამდე, სანამ მათი სუნი არ შემაწუხებსო, კბილის ღრქენით უპასუხებდა გიორგი.

— კაცო განა რა ვქენით პირადთ გიორგის წინააღმდეგ ისეთი რომ ასე სასტიკად მოგვეყარაო, ლაპარაკობდნენ სოფლის მოხუცი გლეხები.

— ის ვქენით, რომ ცოცხალი დაეტოვეთ, რევოლუციის უნდა გაენადგურებია მავისთანა არაშაღებები და არც დემარცხდებოდითო, უპასუხებდნენ გაბრაზებული ახალგაზრდები.

* * *

განვლო დრომ. გიორგის საგმირო საქმენი თითქოს მივიწყდა.

რეაქციის ტალღებმა გააცამტვრეს რევოლუციის ყოველგვარი მონაპოვარი. სასახლეებში დატრიალდა ძველებური თავდავიწყება...

ქოხებში დასადგურდა ძველებური სევდა... ქედ-მოხილი გლეხები კვლავ შეებენ მებატონეთა მძიმე უღელში.

გამარჯვებული გიორგი პირზე ღიმილთ ჩამოუვლიდა ხოლმე ყანაში მომუშავე სოფლის მშრომელთ და ვაი მათი ბრალი თუ მუშაობა არ მოეწონებოდა.

ზოგჯერ სრულიად უდანაშაულოდ აუხირდებოდა რომელიმე გლეხს, გამოიყვანდა მომუშავეთა რიგებიდან და იქვე გაროზავდა.

როგორ მოსვენებას გრძობდა გიორგი ასეთი გაროზავის შემდეგ.

ერთ საღამოს სოფელმა გიორგის დღეუგაცია გამოუზავნა, ამ დღეუგაციაში სოფლის უხუცესნი შედიოდნენ.

სთხოვეს დაგვენებე თავი, გვიმსახურე და როზგებს ნულარ იხმარ ხოლმეო.

როგორ თქვენ კიდევ გაბედეთ ხმის ამოღებას! მოურავო! ას-ასი როზგი თითო დღეუგატს, განა დაევიწყდათ მათ წითელი დროშებით, რომ შემომეჭრენ ეზოში და ჩემს გულის გასახეუქათ მარსელიოზას მღეროდნენ როზგი მაგათ! — გამხეცდა გიორგი.

მისი ბრძანება დაუყოვნებლივ იქნა შესრულებული.

ქალარა მოხუცი როზგების ქვეშ აკენსდენ. სოფელს მოედდა მათი ტანჯვის ხმა... ახალგაზრდობას სისხლი მოეკრია... გულმოდრინებულნი შეცვიდნენ შამების დასახსნელად.

დაიღვარა უმანკო სისხლი...

გამხეცებული გიორგი უიარალოთა სისხლში ცურავდა.

რ ა კ ო ვ ს კ ი ს ბ ა ტ ა ს ე ბ ა

რადიო-რომანი ნ ნაწილად

ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

რომელშიც მკითხველი ერთჯერად ვერ შეხვდება სიტყვა „რადიოს“, მაგრამ გაიგებს თუ როგორ

შ ლ ი ს ვ ა შ ი ნ გ ო ნ ი ნ შ ლ ე ბ ს .

გენერალური ხელშეკრულების საბოლოოთ ხელის მოწერის დრო ახლოვდებოდა. ახალი ქვეყნის უძველესი რესპუბლიკა საქმიანი მეგობრობის ხელს უწოდებდა ძველი ქვეყნის უახლეს რესპუბლიკას. წითელი დიპლომატია

სრულიად დაჰკარგა ფასი და ფასობდა 11 ოქროს ფრანკი *) კინტალი **) Standart Oil-ის ნავთი... მაგრამ ესეც კმარა. ავტორს თამამთ შეეძლო საბუთებით დამტკიცებია თუ რა არეგ-დარევა გამოიწვია ზემოხსენებულმა გარემოებამ ამერიკის ნავთის ბაზარზე, რომ რიგში არ იყო.

ნ ა წ ი ლ ი მ ე ო რ ა

რომლის შინაარს გვიამბობს ჩვენ საკუთარი სიტყვებით ჯავშნიანი გემის „IRON“-ის რადიო ტელეგრაფისტი, ანხ. ტედ გიბსონი.

— რადიო-ძმებო,— ამბობს ტედ გიბსონი,— საქმე ძლიერ ძნელია, ძლიერ ძნელი. ეძებ მაგალითად ავტო პიბრაულტარს, ხელაე კი, მის ნაცვლად ამოიკობ თავს სპილოს კუნძულზე, სადმე ჩრდილოეთის პოლიუსთან. აი რათ ვამბობ ყველაფერს ამას. მასაჩუსეტსის შტატში არის ერთი პატარა სოფელი ვეჯვული, მეთევზეები ცხოვრობენ იქ, ჩემი სამშობლოა. იქ ახლაც ცხოვრობს ერთი ახალგაზრდა კაცი სახელათ

ტ ო მ ჩ ე ნ დ ლ ე რ ი

მეთევზეს შვილი, ბრმა დაბადებიდან. და აი, რამდენიმე წლის წინათ, ჩვენს ტომის შუუყვარდა რადიო. როგორც თქვენ იცით, რადიოს ეპიდეშია მოეღვა ყველას, განურჩევლათ ბრმისა, ყრმისა და მოხუცისა. ჩენდლერმა დააკეთა პატარა რადიო მიმღები აპარატი და ისმენდა ცნობებს და რადიო-მუსიკას ნიუ-იორკიდან

— კაცო, რა დაუშავეთ გიორგის ასეთი, რომ მთელ სოფელს გვანადგურებსო. ჩიოდენ სოფლები.

— ის დაეშავეთ, რომ ცოცხალი დავტოვეთ, ხალხი ყოველთვის დამარცხდება თუ გიორგისთანები შეიბრალა და არ ვანადგურა, — გაიძახოდენ სოფლის ახალგაზრდები.

* *

სარაევოში მომხდარმა მკვლელობამ დაანთო მსოფლიო ომი.

მონარქიული რუსეთი დაიარაღა გერმანიის წინააღმდეგ.

იმედ დაკარგულნი ტვირთ მიმინე მომავლის სხივით დაიმედდენ.

რევოლუციონური მაჯის ცემა გახშირდა. ქალაქის მუშები ამოძრავდენ.

სოფლებს აგიტატორები მოედვენ. გიორგიმ იგრძნო ისტორიის განმეორება. ხშირად ელანდებოდა რიცხვი 1905...

მართალია გლეხებთან დარბილებული ლაპარაკი დაიწყო, მაგრამ სოფელში ამოუშლელად იყო აღბეჭდილი ახლო წარსული. გაუპატიურებული სოფლის გოგოები ლანდივით გამოიყურებოდენ.

როზგებით აკენესებულ მიხუცთა სილუეტები ფერ მიხდილი დადიოდენ.

სოფლის ახალგაზრდათა უდანაშაულო სისხლი სამაგიეროს მოითხოვდა.

* *

მეფის სასახლეს მიადგა მშვიერი ხალხი... — პური ან ზავი — მოითხოვდა აღელვებული ბრბო.

ბრძანებულმა ძველებურად მათრახებს მიმარტა... მაგრამ...

რევოლუციის ცეცხლმა შთანთქა იგი... ცის ტატნოზე ამოვიდა ახალი მზე...

მშრომელთა ქოხში შეანათა მისმა მომჯადოებელმა სხივებმა...

სასახლეში ჩაქრა ჩირაღდანი...

სიბნელეში მიიმაღენ დაქვარტლული ღმერთები...

იქნება ფიქრობდენ ისევ ძველის დაბრუნებას?

ან იქნებ ეგონათ პატიებას მიიღებდენ? ჩვენი გიორგი?

სასახლეს არ შორდებოდა...

დარწმუნებული იყო, რომ ყველაფერი დაივიწყეს...

მაგრამ...

გაუპატიურებული სოფლის გოგოები? როზგებით აკენესებული ქალარები?

ახალგაზრდათა სისხლი? და...

მთელი სოფელი მიესია ძველ სასახლეებს... ცეცხლის ალში გაეხვია „მირონცხებულთა“ სამფლობელო...

დაინგრა კედლები დახვსებულ სრა-სასახლეთა...

ქვეშ მოყვა ყველა გიორგისთანები... გულ-ჩვილი გამოდგა ხალხი...

რადგან უტანჯველად, ერთი ხელის დაკერით მოსპო საუკუნოების განმავლობაში მტანჯველები...

გიორგისთანები აღარ არიან! ოქტომბერმა მოსპო ისინი!

შ ა ლ ღ ა გ ო მ ა რ თ ე ლ ი .



...ახალი ქვეყნის უძველესი რესპუბლიკა მეგობრობის ხელს უწოდებდა ძველი ქვეყნის უახლეს რესპუბლიკას...

იღებდა უკანასკნელ სანგრებს, რომლებიც აწორებდენ ამერიკის ბაზარს რუსეთის ხორბლისაგან. ფედერალური ოლქის კოლუმბიის სატახტო ქალაქი, რომელიც მრისხანე რეზოლიუციებს იღებდა ყოველი მხრიდან, — ნორუიის ფეიქრებისაგან, პიტსბურგის ფოლადის ჩამომსხმელებისაგან, ლინნეის ფესსაცმელების მკერავებისაგან, ცინცინატის ძხვერის ქარხნების მუშებისაგან, საკრამენტოს მუშებისაგან, — თითოეული რეზოლიუციის მიღებისთანავე შლიდა თითო ნოლს მარჯვენა მხრიდან რუსეთის ვალის ჯამში. მაგრამ, როცა მთავრობაზე იერიშები მიიტანეს სამხრეთიდან ნიუ-ორლეანის და ვირჯინიის რკინისგზელებმა, დასაყვლითიდან ხის დამმუშავებლებმა, ნევადიდან, კოლორადოდან და წყნარი ოკეანის ნაპირებიდან კი — ზანგებმა, ჩინელებმა და ესპანელმა კოლონისტებმა, — მაშინ ქვეყნის მმართველები იძულებული შეიქნენ დათანხმებულიყვნენ საბჭოთა კავშირის ვალის წაშლა დაეწყოთ მარცხნიდანაც. პოლიციის სტატისტიკა საშუალოდ დღეში აღნიშნავდა ასამდე თვითმკვლელობას ბირჟაზე საბჭოთა ვალიუტის კურსის აწევის გამო.

ერთი ჩერვონული მანეთი ფასობდა 79 ამერიკული ცენტი *). ხორძალმა „Red Winter“ № 2, ამერიკაში რუსეთის ხორბალის შემოტანის მოლოდინში,



...გვიამბობს ანხ. ტედ. გიბსონი...

და თვით ჩიკაგოდანაც. ამით ერთობოდა და ამრავალფეროვანებდა თავის ცხოვრებას. ცნობილია, რომ, როცა ბუნება კაცს მხედველობას წაართმევს, ასწილ აჯილოდოვებს მის სმენით. ასეთი მახვილი სმენის მქონეს, როგორც ტომი ჩენდლერია, თქვენ ვერ იპოვით ვერსად დედამიწის ზურგზე. ერთხელ, პორტინდრიუსიდან ექვსი მილის მანძილზე ილუმბოდა ბერძნული გემი „ვენისელოსი“, — ასეთია

*) ფრანკი 371/2 კაპ. *) კინტალი — დაახლოებით სამ ფუთამდი.

*) ცენტი — 2 კაპ.

ყველა ვენიზელოსების ბედი. აამუშავეს რადიო, გაგზავნეს ყოველსხრივ ცნობები, შეეცადა ითხოვდნენ, მაგრამ ვადადმცემი აპარატი ძველისძველი სისტემის ჰქონდა. ნიშნები ერთიმეორეში აბრუნდნენ, ერთი აჯანყდებოდა გამოვიდა. სანამ რადიო-სადგურების მორიგეებმა უსმინეს, უსმინეს ამ ნიშნებს, ვერაფერი გაიგეს, გააფურთხებნ და დაიძინეს. მხოლოდ ტომ ჩენდლერმა გაარჩია „ვენიზელოსის“ მუდარა და გააღვიძა სოფელი. შეატყობინეს ადგილობრივ მთავრობას, იმთ რადიო-სადგურს, რადიო-სადგურმა საბაჟოს გემს და „ვენიზელოსის“ მგზავრები გადაარჩინეს. იცით რა მიიღო ტომიმ ამ საქმისათვის საბერძნეთის მთავრობისგან?—ასი ფრანკი!.. სამაგიეროთ ჩვენ, მებრუნებმა და რადიო ტელეგრაფისტებმა ვაგმართედ ზღვაში რადიოთი ხელის მოწერა და ვაჩუქეთ ჩენდლერს მშვენიერი პატარა რადიო-სადგური.

ამის შემდეგ ტომი კიდევ უფრო მეტის თავდავიწყებით მიეცა საყვარელ საქმეს. როცა არ უნდა შეხვდეთ მასთან, მას ყურებზე მიმაგრებული აქვს სასმენი აპარატი და ეძებს, ეძებს რადაცა ეთერის უსაზღვრო სივრცეში.



...ეძებს რადაცა ეთერის უსაზღვრო სივრცეში...

რასაკვირველია, სანამ ტომ ჩენდლერი ეძებს, მკითხველს თავისუფლად შეუძლია წაიკითხოთ.

ნაწილი მესამე.

რომლიდანაც გაიგებს, რომ

ბ. ბ. ბ.

სასწრაფო სხდომა, ისე როგორც სხვა ასეთი სხდომები, დანიშნული იყო შუალამისათვის, ბრუკლინის ხიდიდან წ მილის მანძილზე. შეკრების ნამდვილი ადგილი კრების არც ერთმა მონაწილემ არ იცოდა. დამზღვევი კომპანიის „კონკორდის“ კომპეტე საათმა თორმეტი დაჰკრა, როცა ცაზე, რომელსაც ფარავდა სხვა და სხვა რეკლემები, გაივლია ექვსმა ტყვიანმა ხაზმა.


ჩირაღდანი

მკითხველი. რასაკვირველია იცნობს კლოდ შაპის ძველებური ოპტიური ტელეგრაფის ასოებს და ამიტომ ჩქარა მიხედება, რომ

სიტყვა ორგონ ნიშნავდა კუ-კუკს-კლანის წევრების შესაკრებ ადგილს. მკითხველი მართალია (როგორც ჩვეულებრივ). არ ვასულა ერთი წუთიც, რომ გულზონის წყნარ ზედაპირზე დაეშვა უზარმაზარი შავი ჰიდრო-ავიონი თეთრად წარწერილი

OREGON

იმ წამსვე ჰიდრო-ავიონისაკენ გაეშურენ მანამდე მდინარის ნაპირებთან მიმალული ავიონები და ჰიდრო-ციკლეტები, რომლებიდაც „ორგონზე“ ავიდენ რადაც ლანდები.



...დაეშვა უზარმაზარი ჰიდრო-ავიონი...

როცა „ორგონი“ გაფრინდა და ფაშისტები მოთავსდნენ მდიდრულად მორთულ დარბაზში, გაისმა მკეპარე ხმა:

„ბატონებო! ხელშეკრულება, რომელიც ასე მოხერხებულათ მოაწახადა იმ წყეულმა ჩიერინმა, მოულოდნელად დავგატყდა თავს. თუთხმეტი დღის შემდეგ ეს ხელშეკრულება დამტკიცებული უნდა იქნეს. შუადღზე საბჭოთა დელეგატი რაკოვსკი უნდა ვადაფრინდეს მოსკოვში ხელშეკრულების დასამტკიცებლად. რომ დაიღუპოს რაკოვსკი, ხელშეკრულება მაინც დამტკიცებული იქნება და მას ვინმე ჩამოიტანს. მაგრამ, რომ რაკოვსკი დაიკარგოს, ხელშეკრულების დამტკიცებას ვადადებენ იმ დრომდე, სანამ დაკარგულ დეპლომატს იპოვიან. ეს დროს მოგება და არევ-დარევა ჩვენ გვესაჭიროება სენატში და კონგრესში ხელ-

შეკრულების ჩასაშლელად. დანარჩენი თქვენთვის ვასაგებია. იმოქმედეთ.

ფაშისტები, ვანსაკუთრებით კი კუ-კუკს-კლანის წევრები სწრაფად და ენერგიულად მოქმედებენ და უკვე 48 საათის შემდეგ მოხდა ის, რასაც მკითხველს

მომთხე ნაწილი

გააცნობს ვაგეთ


„მორინა კოსტის“

საშუალებით.

ამ ვაგეთში, შემდეგ ცნობებს წაგიკითხათ: შოკფერის ახალი ცნობა. კაცი მუქპალტოში. 100.000 დოლარი ჯილდოთ. ინდუსტრიალურ მუშების მოწოდება.

ნი უიორკი (რეიტერის საგ. ცნობა). რაკოვსკის შოფერი გრიფიცი, რომელიც ხელშეკრულებს იგონებს, რომ ცენტრისათვის ნიუ-იორკის კანტორასთან (სადაც ის უცდიდა რაკოვსკის გამოსვლას) მას მიუახლოვდა ვილაც უცნობი, რომელსაც მუქი პალტო ეცვა და მას, გრიფიტს, შეასხა რადაც სითხე. გრიფიტსმა, ამ სითხის ზეგავლენით, იმ წამსვე დაჰკარგა გრძნობა. გონს მოვიდა მხოლოდ 9 საათის შემდეგ, როგორც მკითხველები უკვე ვაიგებდნენ ჩვენი ვახუთის დილის გამოცემიდან (იქარეთ ხელის მოწერით), შოფერი იპოვეს ებსტერის და კომპ. საექსპლიციო კანტორის ეზოში რადაც ყუთში ჩადებულად.

ნი უიორკი (რეიტერის საგ. ცნობა). ენც აღმოაჩნეს თუ სად იმყოფება რაკოვსკი, შეერთებული შტატების მთავრობისაგან ჯილდოთ მიიღებს 100.000 დოლარს.



...გაისმა მკეპარე ხმა...

ნი უ ი ო რ კ ი (საკ.კო რეს). ინდუსტრიული რეზოლუცია კავშირშია და შრომის ინტერნაციონალურმა ფედერაციამ გამოუშვა მანიფესტები, რომელშიც ბრალს დებდნენ კუ-კუქს-კლანს რაკოვსკის მოტაცებაში და შეიძლება მოკლავდნენ. მანიფესტი თავდება თაქსედარია განცხადებით, რომ „მუშები თავს მოაკლვევენ სისხლის მსუბუქ ვეშაპს“.

ლონდონი. ბევრ-სტრიტ (საკეთ. კორესპ.). ცნობილი ექ. ვატსონი ვეატუბინებს, რომ ცნობილი დემკრტივი შერლოკ ჰოლმსი სერიოზულად შეუღდა „რაკოვსკის საქმის“ გამოკვლევას.

თუ მკითხველ სურს გაიგოს რა მოხდა შემდეგ წაიკითხოს

ნაწილი მესამე

რომელსაც სათაურით აქვს სამი საიდუმლო, მაგრამ უსათუოდ რეალური ანბანი

T T T

მკითხველს ეცოდინება, რომ ნიშანი T T T, ათჯერ მიტეხული ნიშნავს

გზა არ არის. ერთდგე საშიშროებას!

და მხოლოდ ის მგზავალი, რომელსაც შეურდება ტიტანის „გმირული დიდუკა, გებედღეს გზის გაგრძელებას სახიფათო მიმართულებით ასეთი გაფრთხილების შემდეგ.

ასეთ ნიშნებს იძლეოდა ანაპოლისის რადიო-სადგური.

მიუხედავად ამისა ტომ ჩენდლერი დარწმუნებული იყო, რომ ეინზე ვერ შეინიშნავდა ანაპოლისის გაფრთხილებას და ხიფათი შეემთხვეოდა.

— ბერძენი ან ოსმალთა უსათუოდ უბედურებას გადაეცემა. ზარმატები, უღისციპლინიო ხალხი არიან... ასე ფეჭრობდა თავისთვის ტომი და აი

ჩ ვ ე ნ ე ბ ა

რომელიც მან შემდეგში მისცა მისაჩუქრტის შტატის პროკურორს:

— „მე ბრძა ვარ დაბადებნიდან. საათი მე არა მაქვს და არც მესაქიროება. მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ღამის 12 საათზე და 42 წ. მოხდა ყველაფერი ეს. მე ვამტკიცებ ამას ამის მიხედვით, რომ პარიზში იყო ლილის ს საათი და 42 წ. თქვენ მეკითხებით საიდან ვიცი მე ეს? აი საიდან. იმ წუთში, როცა მე დავეძებდი გზადანეულ ოსმალთა თუ ბერძენს, ნათლად გავიგონე პარიზის ერთ-ერთი რადიო-სადგურის მიერ გადმოცემული ნაცნობი ანონსი:

— Messieurs! Voici les prévisions régionales de l'office Natinal Meteorologique... და რადგან თქვენ ბატონო პროკურორო ფრანგული არ იცით, მე თქვენ გეტყვით თუ რას ნიშნავს ეს ინგლისურ ენაზე:

— ბატონებო! ისინიეთ! ამ წუთში ნაციონალური მეტეოროლოგიური ბიურო გადმოქცემთ ცნობებს ამინდის შესახებ. ამ ცნობებს პარიზი ყოველთვის აწვდის მსოფლიოს დილის 6 საათზე და 40 წუთზე, გრინვიჩის მერი დიანისდროის მიხედვით. ორ წუთზე ნაკლები არ გრძელდება ფრანგის მისაღება. ცერემონიები მავათ არაქვთ, ნაკლები ვიდრე ჩინელ მანდარინებს: „ბონ ჯურ, მონშერ ამი, კომან-გუ, პორტევე და სხვ.

„ამრიგათ, სწორეთ ღამის თორმეტ საათზე და 42 წუთზე, შემომესმა, რომ ჩემს მეზობანზე ვილაც ასე ნელა-ნელა აფხაქუნებს. ვიფიქრე, ალბათ თავი შეძერა აპარატში მეთქი.

მიუყურად და აი რა გავიგონე: სამი წერტილი, ხაზი, სამი წერტილი.

„ჭეი, ჭეი, გავიფიქრე, ოსმალთა თუ ვილაც არის, ფათერაკი შემთხვევია მეთქი.

ვადევნებ თვალსურს ნიშნებს, მაგრამ ეშმაკი ვერ გავიგებს, რა ნიშნებს იძლეოდენ, დიდი თავის მტერევის შემდეგ, აი რა ჩავსწერე:

CQ CQ CQ Hullo Everybody Here R-kovsku soviet Delegate Cantured By K K K Calling Help Dont Know Name Place Impisonment -SOS!

ტომ ჩენდლერმა პროკურორს წინ დაუდგა ქაღალდის ნაგლეჯი, რომელზედაც ჩაწერილი ჰქონდა მთელი ეს ფრაზა.

„და რადგან თქვენ სერ, ნამდვილი პროკურორი ბრძანდებით, ინგლისური ენაც კარგად არ იცით, ნება მიბოძეთ განვიმარტოთ ამ ბარათის შინაარსი:

„ალოო, ალოო, ალოო. მთელს სოფლიოს. გეძახით რაკოვსკი, საბჭოთა დელეგატი, რომელიც გაიტაცა კუ-კუქს-კლანმა! მიეშველეთ! თუ სად ვიპოვებთ, არ ვიცი .. S O S...“

„წამოხტი ფეხზე საქმე ნათელია იმ წამსვე მოერთე ღრიალი რადიო-ტელეფონით:

„ყველას, ყველას, ყველას.

ეი, თქვენ ეშმაკებო, ჯანდაბაშიც წასულხართ ყველანი. რა იდიოტური ხუმრობაა? რა გამახსრებთ ამ ღამით! იმ ჯანდაბა კონცხთან იქნებ ვინმე კისერი მოიმტეროს. თქვენ კი აქ თავს იტყეით! თუ ვინმე თქვენგანს შეუტყვეს, რადიო-აპარატის ნებართვას წაგართმევენ და 25 დოლარით დაგაჯარიმებენ ხულიგანობისათვის.

დაანებეთ თავი ხუმრობას! გესმით?

მაგრამ ფიქრი არა გაქვთ, sas არ წყდება.

— ეს რა ჯანდაბა არის მეთქი, ფიქრობ ჩემთვის. ვაი თუ მართლა რაკოვსკი იძახის, ჩვენი რაკოვსკი? გავიქეცი პირდაპირ ვეჯვულის რადიო-სადგურში. დაუძახე კარსონის ელევატორს, იქ ჩემი მეგობარი მსახურობს, იქვე ცხოვრობს.

ჯეროლდია მისი გვარი, ისიც რადიოს, დიდი მოყვარულია. ფანატისკია, ნამდვილი რადიო-იეზუიტია. არ სჭამს, არ სვამს, არ სძინავს, მუდამ თავის რადიო-აპარატს ჩაჰკირკიტებს. ჯეროლდი, რასაკვირველია, თავის აპარატთან იჯდა იმ ღამესაც, მაგრამ არაფერ არ შეუნიშნავს, არც რაკოვსკის ნიშნები გაუგონია. სმენა არა აქვს მახვილი.

„ჯეროლდ, — გეძახი მე, — იძლევი პელენდატორს“).

„— მოკემო, — მითხრა.

„გამოვართიეთ პელენდატორი და შეუდექით რაკოვსკის ძებნას.

„ვიპოვეთ ჩვენ ის, ბატონო პროკურორო, სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. გავაღვიძეთ ელევატორის მუშები და გაუდგეით გზას. გავიარეთ 27 თუ 30 ვერსი. ძლივს მივალწვით მიწის ძვრის დროს დანგრეულ შარაგზამდი, რომლითაც დიდი ხანია უკვე არავინ სარგებლობს. გავიხედეთ და „ჩერჩ და რობინსონ“-ის საეკტომობილო სახელოსნოსთან შენიშნეთ ორი კაცის კვალი. გავოცდით. სახელოსნოში არავინ ცხოვრობს, ნახევრათ დან-

გრეულია, არავინ მუშაობს და — აქ აღამიანის კვალი! ვიფიქრეთ როგორ მოვეტყულებოთ და თუ რა ვქენით, ამას ვიამბობთ

ნაწილი მეოთხე

რომელიც იწყება იმით, რომ საზეიმო საუზმე, ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულების დამტკიცების გამო.

სასტუმრო „ატლანტიკის სახურავზე.

ის იყო თავდებოდა.

რაკოვსკიმ სთქვა;


— მთელი შეცდომა იმათი, ვინც მე ატომობილში მომწამლა გაზით და ფაშისტების, რომლებმაც შემდეგ გამიტაცეს მე, მდგომარეობდა იმაში, რომ მათ დაავიწყდით ჩემი გატაცება რადიოთი. იმ დაწყევლილ სახელოსნოში დიდხანს დავყოფდი, ალბათ, რომ რადიოს არ დავესენი. სახელოსნოში „სეირნობის“ დროს შემთხვევით ვიპოვე დამტყრული ატომობილის მაგნეტო. თაროებზე და მაგიდებზე სხვა მრავალი საქირო მასალაც ვიპოვე მე უკვე ვიამბეთ, რომ სახელოსნოს ეზოს ისეთი მაღალი ლობე ჰქონდა, რომ გაქცევაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. გარდა ამისა, ჩემი მოდარაჯე ფაშისტები, ერთი წუთითაც არ მარიდებდნენ თვალს. და მხოლოდ მეხუთე დღეს როცა დაიმედდენ, რომ გაქცევის ვერ მოვახერხებ, უკლეს სიფხილეს. ამით ვისარგებლე მე. გავაკეთე პატარა რადიო-გადამცემი აპარატი და მოუხმე ხალხს დახმარებისათვის.



...რაკოვსკის სიტყვები ტაშმა დაჭარა...

რასაკვირველია, რომ ტომ ჩენდლერს არ გვიკონა, ვერ დავალწევდი მე თავს ტყვეობას. ტაშმა დაჭარა რაკოვსკის სიტყვები.

გ. მალნიაკი.




* პელენდატორი არის აპარატი, რომლის საშუალებით შეიძლება გამოკვლევა იმის, თუ რა მხრიდან მოდის რადიო-ტალღები.

მოგზაურობა მოსკოვისაჲენ

გათენდა დილა,
 აღეახილე
 თვალი მძინარი:
 მატარებელი
 მიჰქრის, მიჰქრის
 სწრაფ მიმდინარი.
 გზა გრძელი იყო,
 დასასრული
 ჯერ არ უჩანდა,
 დაუღალავად
 დაგდაგობდა
 და მიჰგორავდა.
 თანანგზავრთ შორის
 არვინ მცნობდა,
 ვიყავ ეული.
 ფიქრების ზღაში
 ეცურაობდი
 გადარეული.
 დღე დღეს მისდევდა,
 ღამე ღამეს,
 სკვლიდნენ ერთმანეთს;
 ვიწრო ფანჯრიდან
 გავყურებდი
 იმ არე მარეს,
 ჩემგან არ ნახულს
 მინდორ ველსა
 თვალ უწყვედელსა,
 ზედ გაშენებულს
 სოფლებს დაბებს
 და ქალაქებსა,
 მდინარეებიჲ,
 ტყით დაფარულს,
 და ზოგან ზღვებსა,
 ქარის წისკვილებს,
 ფრთებ გაშლილებს
 ხალხის მკვებელსა.
 რკინის გზის პირას
 ნაძვის ზღუდეს,
 ხელოვურ ნაშენს
 ვით სატრფო სატრფოს
 გადახვეულთ
 ცისკენ აზიდულთ,
 ზამთარ ზაფხულში
 მოდარაჯეს
 მწვანით მოსილებს,
 წინ ელობება
 თოვლის ნამქერს
 და იცავს ქსელებს.
 ჩემს უნებლიეთ
 ფიქრი ჩემი
 ზღვასებრ მღვლევარი
 თავის ტალღებში
 გამოხვეულს
 მტყორცნის ყოველ მხარეს,
 ზედ გადამავლებს

ვითარც ელვას
 ჩემსა ქვეყანას,
 თვალ წინ მიყენებს
 მთა-ბარს ტყიანს
 მომხიბლავ მხარეს.
 ტყეს, ღრეს, ხევ-ხუეს
 და მინდორ-ველებს,
 ცას ლაყვარდოვანს,
 ცეცქ წყაროებს,
 მძლავრათ მდინარებს.
 მატარებელი
 მაინც მიჰქრის
 და მიმაქროლებს
 მე ეულსა
 უცნობელ მხარეს.
 აგერ გამოჩნდა
 წითელი ცაც
 დიდი ქალაქის.
 ელთა ნათელი
 შორით მოსჩანს,
 შუქი ელვარებს.
 ტურფადა შვენის,
 თვალ უწყვედნი
 ფართოდ გაშლილი,
 რომლის დანახვაც
 მტერს აღონებს,
 მოყვას ახარებს.
 იქ მანქანები,
 ერთმანეთსა
 ეცილებიან.
 ისმის სიმღერა,
 ქარხანათა
 გრგვინვა-გრილი.
 შრომისა შვილნი,
 თავის ნაშრომით
 თვითვე სტკებნიან
 შეხმატკილებით
 დაწყებული
 შენება არი.
 იქ ანგარებას,
 ბოროტებას,
 ბოლო ეღება.
 შრომისა შვილი
 თავის ბედსა
 თვითვე განაგებს.
 სოფელ-ქალაქნი
 ერთმანეთსა
 ეთვისებიან,
 ძველს ანგრევენ,
 ერთის ძალით,
 ახალს აგებენ.

შაქრა ნავთლულელი



მე თქვენთანა ვარ.

(ამხ. გიორგი ყურულიშვილს.)

მე თქვენთანა ვარ;
 ჩემი ჩანგით, ჩემი სიმღერით,
 როდესაც შრომობთ,
 ანდა იბრძვით თავ-გამეტებით!
 მე თქვენთანა ვარ,
 ჩემი სისხლით, ჩემი იერით,
 მტერთა მიმართ კი—
 ნაღმიანი დინამიტებით!

მე თქვენთანა ვარ!
 თქვენ გეკუთვნით სიცოცხლე ჩემი,
 რომლის ძარღვებიც, სიმთა ქღერით,
 ქურახე იწვის!
 მე თქვენთანა ვარ!
 თქვენს დროშის ქვეშ მეც დავეცემი,
 ამფეთქებელი ძველი ქვეყნის,
 და დედამიწის!

გ. ქუჩიშვილი

პაპაჩაიშვილი

ამბავი მართ კაცზე

ამბობენ, რომ—მოყმე ვინმე
 რკინის გზაში ირიცხება,
 იმოდენა არის თურმე
 რომ ვაგონიც იზნიქება...

დადის თითქო ბაყაყ-მდევი
 ატრიალებს დიდრონ თვალებს.
 მისი ეშხით— სილამაზით
 მოსვენება არა აქვს ქალებს.

ყველას უნდათ მის ვაგონში
 გაიჩინონ, ჰქონდეთ ბინა,
 „ბარიშნები“ იძახიან:
 „ნეტა მასთან მივავლინა“.


ამბობენ რომ თათქარიძის
 უნდა იყოს შვილის შვილი —
 მასაც უყვარს ზურგიელი,
 ბოზბაში და ჩახობილი

ხბო ერთ ჯერათ არა ჰყოფნის,
 ძვლებსაც ჩაახრამუნებსო,
 ტიკით ღვინო გვერდით უდგას
 ყველს მით ჩაიტკებარუნებსო.

მეტ სახელათ ამ ტარიელს,
 ეძახიან ბროწეულსო,
 რადგანაც რომ ცხვირით უგავს
 იმ დიდ ნაყოფს—იმ წყეულსო

ვინც პირველათ გამოიგნობს,
 თუ სად აქვს ამ „ყრმას“ ბინა
 ბროწეულებს არ მოვაკლებ,
 სამსახურშიც წავწევ წინა.

უცნობი



ს. უაზგებიუს ავტობიოგრაფიული გახსენებები.

მოგონება უაზგებიუსი უახსნებზე.

უკანასკნელ დროს აღძრულმა დიდმა კამათმა ალექსანდრე ყაზბეგის შესახებ ჩემშიაც გამოიწვია ბევრი საინტერესო მოგონება, რომელიც ბავშობიდანვე შეუგნებლად, მაგრამ ცოცხლად ჩარჩა ჩემში. ახლა ვგრძნობ მთელს მათ მნიშვნელობას და სიმწვავეს. ამისათვის საჭიროდ ვსთვლი საზოგადოებას მეც ვავუზიარო მამი-ჩემის მიერ ოჯახში არა ერთხელ ნაამბობი—ჩემს პატარაობისას, დამიტრი და ალექსანდრე ყაზბეგების შესახებ. ბავშობისას, ამ 30—35 წლის წინადა, როდესაც ყაზბეგის თხუზულბებმა ვკითხულობდი, დიდს აღტაცებაში მოვდიოდი, ჩემ გრძნობას ვერ ვეროდი და ჩემს მშობლებს მათ ხმა მალა ვუკითხავდი. მამა-ჩემი ყოველთვის გადაწყვეტილად გვეუბნებოდა: „ეგ სანდრო (ასე ეძახდა ალექსანდრეს) ყაზბეგის ნაწერი არ არის. მე მას კარგად ვიცნობ. იმან კავკავში ყაზახის ქალებთან ქეიფით, ფულის ფლანგვის და საეროთად ფუქსავატი ცხოვრების მეტი არა იცის რაო. სანდროს დედას არა ერთხელ შემოუჩინვლია ჩემთვის, რომ სანდრომ ოჯახი მთლად გააწყალა, გაფლანგა მთელი დიდი ქონება. ვარდაჩენილ ნივთებს დედა, როგორც მუშუნებოდა ხოლმე, იძულებული იყო დაეკრძალა დაემალა. სანდროს მამეების წერა სად შეეძლო. ეგ ნაწერი მეორე, მიტკაი ყაზბეგის ნაწერია. მიტკაი ყაზბეგსაც კარგად ვიცნობდი

და დიდი მეგობრობაც მქონდა. მიტკაი მეტად განათლებული, პატიოსანი და დარბაისელი კაცი იყო.

როცა ცხარაში მივდიოდი, ან იქიდან ვბრუნდებოდი, მიტკაი ყაზბეგთან შეგბრუნდებოდი ხოლმე. შეილიც კი მოვუწათლე. ვახშამს რომ გავათავებდით ხოლმე მეტყობდა: „შენ მოისვენე, მე კი სამუშაო მაქვსო“. ბევრჯერ ხანგრძლივი ძილის შემდეგ გამოძვივებოდა, და ის კი თავის ოთახში იჯდა და გატაცებული სწერდა. ასე ათენებდა მთელ ღამეებს, ნაწერებს ის ინახავდა დაკეტილ განჯინაში, არავის აკითხებდა, მთელ განჯინა სავეს ჰქონდა ხელნაწერებით, ერთხელ ვკითხე: „მიტკაი, თუ საიდუმლო არ არის ნეტაი რასა სწერ ამდენს მეოქი“. მან გაიციხა და მიპასუხა. ამას ჩემო შმაო ბოლო გამოაჩენს, რასაცა ვწერო“. მე შევატყე, რომ არ უნდოდა ვაგზიარებინა ჩემთვის და აღარაფერი ვკითხე.—მიტკაი რომ მოკვდა, ცოლს შევეკითხე, რა უყავი მიტკაიას ნაწერები მეოქი. მან მიპასუხა, რომ სულ სანდროს თურმე წაეღო მიტკაი რომ გარდაცვლილიყო.

აი ის ნაწერები სწორედ ეს ნაწერები უნდა ყოფილიყო“. ასე დარწმუნებული ათავებდა ხოლმე მამაჩემი თავის მოგონებას, მაგრამ ჩვენ მაშინ ამას ყურადღებას არ ვაქცევდით.

პელაგია საამის ასული კობიაშვილი.

ფლეტნერის ამ აღმოჩენას წინ უძღოდა მისი მთელი რიგი გამოკვლევები.

ფლეტნერმა აღმოაჩინა, რომ თუ უძრავ ღერძზე მოთავსებულ ცილინდრს ქარი მოხვდა, ცილინდრი უფრო მეტის სისწრაფით ამოძრავდება.

ფლეტნერის სისტემით გემზე, იალქნების ნაცვლად დადგმულია ორი ცილინდრი, რომლებიც უზარმაზარ საკვამლე მილებს მოგვავონებენ. ამ ცილინდრების სიმაღლე უდრის 30-თი არშინს. ცილინდრები შიგნით ცარიელი არიან. ჩამოცმული არიან ისინი რკინის ღერძზე. ამ ღერძის გარშემო ისინი ბრუნავენ 100-ჯერ წუთში.

ცილინდრები მოძრაობაში მოჰყავს 9—ძალიან მანქანას, რომელსაც ხელმძღვანელობენ (აწესრიგებენ მისი მუშაობის სისწრაფეს, ან კაპიტანის კაბინეტიდან ან სპეციალური ოთახიდან.

ცილინდრისებური იალქნების უპირატესობა.

ცდებით დამტკიცდა, რომ ცილინდრისებური იალქნები ჩვეულებრივ იალქნებთან შედარებით, ფლეტნერის კონსტრუქციის სტატისტიკური ცნობებით, 15-ჯერ უფრო მეტ ენერჯიას იძლევიან.

ფლეტნერმა დაამტკიცა, რომ ცილინდრისი იალქნების მქონე გემები სჯობნიან ჩვეულებრივ იალქნიან გემებს ქარის ძალის გამოყენების მხრივ და რომ არა მარტო პატარა არამედ დიდი სამზავრო გემებიც, თუ მისი პრინციპით ისარგებლებენ, 90%-ით ნაკლებ სათბობ მასალას დახარჯვენ, ვიდრე ეხლა ხარჯავენ. ეს კი გამოიწვევს ბარგის გადატანის და მზავრების გადაყვანის ხარჯების შემცირებას 70%-ით.

ოკეანეს დიდი გემები, ქარის დამხმარე ძალის გამოყენებით დახოვენ 10—20 ათასი ცხენის ძალის ენერჯიას. თუ ქარის მიმართულება ხელს შეუწყობს, ცილინდრისებური იალქნების მქონე გემები, უფრო ჩქარა გაივლიან გზას ვიდრე ჩვეულებრივი სავაჭრო ან მოტორიანი ხომალდები.


მეცნიერება და ტექნიკა

ქარის ძალით, უიალქნოთ.

ამჟამად გერმანიაში საყოველთაო ყურადღებას იპყრობს ერთი მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩენა, რომელმაც მთელი გადატრიალება უნდა მოახდინოს ნაოსნობის ტექნიკაში.

ქარის ძალის გამოყენება.

ლაბარაკია ანტონ ფლეტნერის ახალ აღმოჩენაზე. ამ გამოგონების წყალობით გემებზე იალქნების ნაცვლად დადგმული იქნება არა იალქნები, არამედ ვერტიკალური მბრუნავი ცილინდრები.



ფლეტნერი თავის გემით.

ამ ცილინდრების და საერთოდ მთელი გემის სახელმძღვანელოდ საკმაოა ერთი კაცი.

ქარის ძალა - ელექტრონის ენერჯის წყარო.

ფლექტერის გამოგონებას არა მარტო ნაოსნობისათვის აქვს მნიშვნელობა

ახლო მომავალში, ქარის ძალის საშუალებით შესაძლებელი იქნება ელექტრონის ენერჯის მიღება. ამ მხრივ ბერლინმა პირველი ნაბიჯი გადასდგა. ის შეუდგა სპეციალური ელექტრო-სადგურის აგებას. ამ სადგურის მანქანებს მოძრაობაში მოიყვანს ქარის ძალა. ამრიგად მიღებული ელექტრონის ენერჯის საშუალებით შესაძლებელი გახდება ელექტრონის სინათლის მიწოდება 60 %-ით დაკლებულ ფასებში.

გარდა ამისა ამჟამად მუშაობენ სპეციალური კონსტრუქციის აეროპლანზე. ამ აეროპლანის დამზადების დროს მთლიანად იქნებიან გამოყენებული ფლექტერის ის ცდები, რომლებზეც ფლექტერი მის გენიალურ აღმოჩენაში მიიყვანეს.

განზრახულია მბრუნავი ცილინდრების დადგმა თენამედროვე ღირებულებებზე. ამ ცილინდრების საშუალებით საპატრო ხომალდი დამატებითი მამოძრავებელ ძალას მიიღებს და უფრო სწრაფად გადაფრინდება.

მაგნუსის ეფექტი.

ფლექტერის იდეა არ არის ახალი. ჯერ კიდევ 75 წლის წინათ გერმანელმა მეცნიერმა გენრიხ მაგნუსმა აღმოაჩინა ერთი მოვლენა, რომელიც შემდეგში მდგომარეობდა: მბრუნავი ვერტიკალური ცილინდრი, როცა მას ქარის ნაკადი ხედებოდა, ერთი მხრით იზიდავდა ქალაქის პატარა დროშებს, მეორე მხრიდან კი ისვრიდა.

ამ მოვლენას მეცნიერი ხსნიდა იმ გარემოებით, რომ ცილინდრის ერთ მხარეს (საიდანაც ცილინდრი იზიდავდა ქალაქის დროშებს) ჰაერი თხელდებოდა, რის გამოც ამ ადგილისკენ მიეჩანებოდნენ ჰაერის ახალ-ახალი ნაკადები; ცილინდრის მეორე მხარეს კი თავს იყრის ზედმეტი ჰაერი, რომელიც ცდილობს განშორდეს ცილინდრს და მოძრაობის დროს იტაცებს ქალაქის დროშებს.

ამ აღმოჩენას მეცნიერებაში ეწოდება მაგნუსის ეფექტი.

მაგნუსის ეს აღმოჩენა პრაქტიკულად განახორციელა ანტონ ფლექტერმა.

მორიგი რეპორტი.

როგორც მკითხველებმა იციან დასავლეთ-ევროპაში და ამერიკაში დიდი ყურადღება მიიპყრო ცეპელინ Z R 3 გადაფრენამ გერმანიიდან ნიუ-იორკში. ორივე კონტინენტის პრესა მთელ გვერდებს უთმობდა ამ მართლა ისტორიულ გადაფრენას.

მაგრამ სააღიარო რეკორდთან ერთად დამყარებული იქნა ამერიკელებისათვის ტიპიური კინო-რეკორდი. კინო-ფირმის „International News“-ის თანამშრომელმა შეუქმნევლად მოახერხა ცეპელინზე მოთავსება გერმანიიდან მისი გაფრენის წინ და გადაიღო გადაფრენის ყველაზე უფრო საინტერესო მომენტები. ცეპელინის ნიუ-იორკში ჩაფრენის მეორე დღესვე ნიუ-იორკის ყველა დიდ კინო-თეატრებში უჩვენებდნენ ამ გადაფრენის სურათს.



ცეპელინი ნიუ-იორკზე.

ბუნებრივია, რომ ზემოხსენებულმა ფირმამ მონოპოლია გამოაცხადა გადაფრენის სურათის ჩვენებაზე.

ძმ. პატეს ცნობილმა კინო-ფირმამ არ მოისურვა ჩამორჩენოდა თავის მეტოქეს და მრავალი ათეული ავტომობილები, რომლებშიც ისხდნენ „პატეს“ თანამშრომლები კინო-აპარატებით, გამოედევნენ ცეპელინის ბოსტონიდან და გადაიღეს მისი გადაფრენა ბოსტონიდან ნიუ-იორკამდე და შემდეგ ავიო-სადგურამდე ლანკებერსტში.

კინო. მიწის ქვეა.

განზრახულია ბერლინის ერთ-ერთი მოედანის ქვეშ, ბერლინის ცენტრში, მოწყოს დიდი კინო-თეატრი. მიწის ქვეშ კინოს მოწყობა აზრით მიწის ქვეშ კინოს მოწყობა უფრო იაფი დაჯდება ვიდრე ნაპირი მიწის შექმნა და იქ ახალი შენობის აგება. კინო საუცხოოდ მოეწყობა მიწის ქვეშ: მზის სინათლე მას არ ესაჭიროება. მთავარი დაბრკოლება, რომელიც ამწელებს საქმეს, ეს არის ჰაერის გაწმენდის მოწყობა.

რა ჯდება „პარტი“ კინო-სურათი.

ცნობილმა ამერიკელმა კინო-რეჟისორმა გრიფიტმა ამ რამდენიმე ხნის წინათ დაათვა-

რა დიდი ისტორიულ კინო-სურათის დადგმა ეწოდება ამ სურათს „სკარამუშა“. მეტიდ საინტერესოა თუ რა დაჯდა ამ სურათის დადგმა. კინო-ფირმამ „მეტრომ“, რომელმაც დასდგა ეს სურათი, მოიწვია 10.000 სტატისტი, 30 „გმირი“, 34 რეჟისორის თანაშემწე, 8 ექსპერტი, 22 ოპერატორი, 23 კინო სპეციალისტი, 65 ელექტრო ტენიკი, 109 კოსტიუმერი და პარიკმახერი, 11 არქიტექტორი, 650 დურგალი, 75 კალატოზი, 88 მღებავი და დეკორატორი, 48 შოფერი.

კინო რეკლამის ახალი ფორმა.

კინო-რეკლამის ახალ ფორმას მიმართეს ამერიკული სურათის „ზღვივ ეშმაკის“ ჩვენების დროს ნორვეგიაში. ნორვეგიის სატახტო ქალაქის ქრისტიანის მცხოვრებლები გააფრთხილეს, რომ ახლოვდება „ზღვის ეშმაკი“ და რომ ხვალ 12 საათისთვის თვალები უნდა ადევნონ ცას. და მართლაც დანიშნულ დღეს 12 საათზე გამოჩნდა აეროპლანში, რომელმაც გადმოჰყარა განცხადებები სურათის შესახებ, ზოგ განცხადებას მიმარგებული ჰქონდა უფასო ბილეთი კინოში.

კინოს აუარებელი ხალხი მიაწყდა.

წყალ-ქვეშ.

ანეტ კელერმან, კინო-მსახიობი, თავისებური ზღვის გმირი არის. მისი მონაწილეობით გადაღებულია მთელი რიგი საინტერესო სურათები ზღვაში. სურათებს იღებენ ირლანდიაში.

გლახის სიგლავა.

ვიმუშაოთ მეგობრებო, გლახ-კაცს მივსცეთ სწორი ხაზი რომ შეიგნოს ყველაფერი კულტურულად გასხლას ვაზი.


რომ სავსებით განაახლოს თვისი ყოფა და სახლ-კარი და ძველ არქივს ჩააბაროს მღვდელი, ბერი და საყდარი.

მღმა გლახთან შევეართოთ — გლახი მუშას დასდებს ფასს. მათი მტერი და ორგული ვეღარ გაჰხდის იმათ ტყავსა.

მუშა ჰკვერავს, გლახი ბარავს ორივე ერთათ მისცემს მხარას; სეტყვას, თოვლსა ასწმენდავენ და მოგვივირინ ახალ დარსა.

მზის სხივებით შეამკობენ, დაათბობენ თავის დარგსა. მშრომელი და დაჯარული მიიშორებს თავის დარღსა.

ბურხა-დურუჯი.



სიცოცხლე ცეცხლში

მე რომ შენს სულში ჩაეხედე შავო ქარხანა,
 შენი ძარღვები აელვებულ ღვედვებზე ენთო;—
 შუბლი ჩამოღვრილ ოფლის წვეთებს ცეცხლში მარხავდა
 ბასრი თვალები ელექტრონის ფერებს გაერთო...

მტკიცე კედლები, როგორც ბოლშას იკლავდა გულში
 ამუშავებულ მანქანების მოწოლილ ხმაურს;
 შენი სიმღერა უცხო იყო ჯერ კიდევ გუშინ,
 ღლეკი ყველა გრძნობს შიგ ამომსკდარ ძახილს უცნაურს...

შავო ქარხანაე!.. რა რიგ მიყვარს მე შენი სუნთქვა,
 შენი თუჯის სახეს არ ვინ გასცვლის ოქრო და ვერცხლში...
 გარს მოხვევინარ შენს აზრდლებს ვით დედა გულქვა,
 რომ შეაჩვიო ძვირფას შვილებს სიცოცხლე ცეცხლში...

შავო ქარხანაე!.. შენში შრომა უკვე ვიწამეთ.
 ახმაურებულ ძალაში ხარ გამოწრთობილი...
 დე, შენი სუნთქვა კვამლად ჰქროდეს ღრუბლებსიკავნ,
 ოღონდ მიწაზე ცეცხლებსიკავნ იყვე მშობელი...

გ. პოლუმორდვინოვი.

კ ი ნ ე

რუსეთი.

მოსკოვი ცეცხლში. კისელიოვმა დასწერა სურათი „მოსკოვი ცეცხლში“. სურათი ხატავს ოქტომბრის გადატრიალებას მოსკოვში.
ახალი სურათები. „კინო-მოსკოვი“-მ მიიღო ახალი სურათები „მეთავე სიმფონია“ და „შეხვეწადა“.

ამერიკა

„გედი“. რეისორი ბუხოვეციკი დგამს სურათს „გედი“.

„ლორიან გრეის სურათი“. ცნობილი ფრანგი რეისორი მარსელ ლერბიე სდგამს სურათს „ლორიან გრეის სურათი“-ს. ოსკარ უილიდის რომანის მიხედვით.

ფაშისტების ცენზურა. ამერიკულმა ფაშისტურმა ორგანიზაციამ კუკ-კუკ-კლასმა მიიტყვიან ყურადღება „ზნეობის დაცვას“ კინოში. ფირმამ „მეტროგოლდვინ“ დასდგა სურათი „სამი კვირა“. ეს სურათი არ მოეწონა ფაშისტებს, მათ განიზრახეს ამ სურათის მოხსნა ქალაქ ვატისბურგში. კინო-თეატრის ადმინისტრაცია და მოსამხატვრეები იძულებული შეიქნენ შეიარაღებულად იყვნენ, რომ დაეცათ სურათი ფაშისტებისაგან.

გერმანია

კინო-გამოფენა. 1925 წლის 21 თებერვალს ბერლინში გაიხსნება კინო-გამოფენა.

სურათი უმსახიობოთ. ორმა გერმანულმა მოგზაურმა, რომლებმაც ველოსიპედით შემოიარეს ბალკანეთი და მცირე აზრია, ბერლინში ჩაიტანეს სურათი „ოცნება აღმოსავლეთზე“. ერთი მათგანი ასრულებდა რეისორის და ოპერატორის როლს, მეორე კი ბედისაგან დევნილ მოგზაურისას. დანარჩენი მონეტები გადაღებულია გზაში.

გრიფიცის ახალი სურათი. ცნობილმა კინორეისორმა გრიფიცმა დადგა გერმანიაში ახალი სურათი. სურათი გადაღებულია ბერლინის ერთერთ მუშათა რაიონში. ნიუ-იორკის ერთ-ერთ კინო-თეატრში ამ სურათის ჩვენების დროს სკანდალი მოხდა. ფაშისტების ერთ ჯგუფს არ მოეწონა, როცა ერთ-ერთმა მუშა-ქალმა ეკრანზე ვილპელმის სურათი დახია და მათ ობსტრუქცია მოაწყვეს.

საფრანგეთი

„კინოს მეგობრები“. საფრანგეთში დაარსდა საზოგადოება „კინოს მეგობრები“, რომელიც მიზნათ ისახავს ხელს შეწყობას საფრანგეთის კინო-მრეწველობისათვის.

ავსტრია

ავსტრიის კინო-თეატრები. ავსტრიაში არის 350 კინო-თეატრი. აქედან—183 ვენაშია. თითოეული კინო-თეატრი საშუალოდ იტევს 350 - 700 კაცს. არის მაგალითად ისეთი კინო-თეატრებიც (მაგალითად ბუშეს ცირკში), რომლებიც 2000-მდე კაცს იტევენ. სტატისტიკურად დამტკიცებულია, რომ ვენის თითოეული მცხოვრები კვირაში ერთჯერ დაიარება კინოში.

ინგლისის კონსერვატორული მთავრობა

შარჟი „დაილი ჰერალდ“-იდან.

(ინგლისის მუშათა პარტიის ორგანო.)



პირველ რიგში (მარცხნიდან მარჯვნივ) სტენლი ბალდვინი—პრემიერი, ლორდ კერზონი—ლორდთა პალატის ლიდერი, უინსტონ ჩერჩილი—ხაზინის კანცლერი, ოსტინ ჩემბერლენი—საგარეო საქმეთა მინისტრი.

მეორე რიგში (მარცხნიდან მარჯვნივ) ლორდი ბიკენხედ—ინდოეთის საქმეთა მინისტრი, ნევილ ჩემბერლენ—ჯანმრთელობის მინისტრი, სამუელ ხორნ—საჰაერო მიმომოსვლის მინისტრი, ლორდი კევ—ლორდი კანცლერი, ემერი—კოლონიების მინისტრი, დუგლას ჰოვი—გენერალური პროკურორი, ჯონსონ გიკსი—შინაგან საქმეთა მინისტრი.

უწვრემთი

კინო-ცენზურა. უნგრეთის მთავრობამ აკრძალა სურათი „სკარამუშ“ საფრანგეთის რევოლუციის ეპოქიდან. ეს სურათი დასდგა ცნობილმა ამერიკელმა კინო რეჟისორმა რექს ინგრემმა. სურათი შექმნილია საბჭოთა კავშირში საჩვენებლად.

მუსიკა

ჯიაკომო პუჩჩინი

გარდაიცვალა ჯიაკომო პუჩჩინი, მრავალი ოპერების ცნობილი ავტორი.

დაიბადა ის 1858 წ. მუსიკალური განათლება მიიღო მილანის კონსერვატორიაში.



ჯიაკომო პუჩჩინი

მას ეკუთვნის ცნობილი ოპერები „მანონ ლესკო“, „ბოგემა“, „ტოსკა“, „ქალბატონი ბეტერფლემი“, „ქალი დასაღვთიდან“.

თეატრი

რუსეთი

„პუშკინი და დანტესი“. ვ. კამენსკიმ დასწერა პიესა „პუშკინი და დანტესი“.

„ვირინია“. მწერალმა ქალმა ლ. სეიფუ-ლინამ თავისი მოთხრობა „ვირინია“ სცენისათვის გადააკეთა. პიესაში შეტანილია დამატებები.

დიდი თეატრის ასი წლის იუბილე. 1925 წ. 19 იანვარს სრულდება მოსკოვის დიდი თეატრის ასი წლის იუბილე. იუბილეს დღისათვის გამოშვებული იქნება საიუბილეო კრებული.

„ახალი ქალი“. პ. რომანოვმა დასწერა ახალი პიესა „ახალი ქალი“. პიესაში დასურათებულია ყოფა-ცხოვრების დანგრევა და ახალი ურთიერთობა დედაკაცსა და მამაკაცს შორის.

„ტეოფილის მოწოდება“. მოსკოვის თეატრ „კომედიაში“ იდგმება ფულდის კომედია „ტეოფილის მოწოდება“. პიესა ხატავს ბურჟუაზიულ ქორწინებასა და ოჯახს.

ხელთვნები პრტნიკა

ქართული თეატრის 75 წლის იუბილე. 1925 წლის 2 იანვარს სრულდება 75 წელი დღიდან ქართული თეატრის დაარსებისა. მსახიობთა კავშირის განზრახვა აქვს განსაკუთრებით აღნიშნოს ეს დღე. გამოვა სპეციალური ჟურნალი, რომელიც 2 იანვრისათვის იქნება მიძღვნილი.

შპიგელმენშ. ქართული აკადემიური დრამა ამზადებს ფ. ვერფელის ცნობილ დრამას „შპიგელმენშ“ (კაცის სარკიდან), რომელიც დაიდგმება 2 იანვარს.

მთავარ როლებს ასრულებენ გიორგი დავითაშვილი, აკ. ვასაძე და დავ. ჩხეიძე.

ახალი პიესა. გრიგოლ რობაქიძემ დასწერა ახალი დრამა „გველის ქვა“, რომელიც წაკითხული იქნა ლიტერატორთა და რეჟისორთა წრეში. პიესა მოწონებულია. მზადებას მის დასადგმელათ უკვე შეუდგენ რუსთაველის თეატრში.

ვირის ჩრდილი“. ი. გრიშაშვილმა ლექსათ სთარგმნა ლ. ფულდის სამ მოქმედებიანი კომედია „ვირის ჩრდილი“.

ქართველ მხატვართა სურათების გამოფენა. გამოფენა გადტანილია მუშათა უბანში — მუშათა ცენტრალურ კლბში.

ვ. სარაჯიშვილის სახელობის სტიპენდია. ვანო სარაჯიშვილის სახელობის ერთი სტიპენდია სახელმწიფო კონსერვატორიაში მიეცა ნიქიერა ხალგაზრდა მუსიკოსს — არფაზე დამკვრელს მ. მკვდლიშვილს, რომელიც მუსიკალური განათლების დასამთავრებლათ მიემგზავრება მოსკოვში.

მომღერალთა გუნდი. პროლეტარულ სტუდენტთა ბიურომ დაარსა სტუდენტ ქალვაჯთა მომღერალი გუნდი — კორნელი მალაძის ხელმძღვანელობით.

სანდრო იაშვილი. უკანასკნელათ მიღებულ ცნობებით, ცნობილი მომღერალი სანდრო იაშვილი იტალიიდან საავსტროლოთ გაემგზავრა ესპანეთში (მადრიდში).

მომღერალი ნანობაშვილი. ამ ქაბათ მადრიდში მღერის ჩვენი თანამემამულე, ცნობილი მომღერალი (ლირიულ-დრამატული ტენორი), პარიზის „დიდი ოპერის“ მსახიობი მის. ნანობაშვილი (მიშელ-დარიალი).

მოსკოვის სამხატვრო თეატრი. 1925 წლის მაისში თბილისში ჩამოვა მოსკოვის სამხატვრო თეატრი, რომელიც წარმოდგენებს გამართავს ოპერის თეატრში.

დასში შედიან ცნობილი მსახიობები: სტანისლავსკი, კაჩალოვი, მოსკვინი, კნაპერი, გზოესკაია და სხვები.

ოპერის დირექტიამ მათ თეატრი უფასოთ დაუთმო.

წინასწარმეტყველი“. სახელმწიფო ოპერა ამზადებს მეიერბერის ოპერას „წინასწარმეტყველი“, რომელიც დაიდგმება იანვრის პირველ რიცხვებში. მთავარ პარტიას მღერის მისინა.

მსახიობი სჩასტიციევა. თბილისში ჩამოვიდა და რუსულ აკადემიურ დასში შევიდა მოსკოვის თეატრების ცნობილი მსახიობი ქალი სჩასტიციევა.

არჩილ ჯაჯანაშვილის ნაწერების კრებული. გამოვიდა არჩილ ჯაჯანაშვილის ნაწე-

რების კრებული, რომელშიაც მოთავსებულია რამოდენიმე მინიატიურა და დრამატული ნაწარმოებები, მათ შორის ახალი პიესა „დანგრეული კოშკი“.

„ვერა ელ“. ვ. ივანტოვმა დასწერა ახალი რევოლუციონური პიესა „ვერა ელ“, რომელიც იდგმება პროლეტკულტის თეატრში.

„ჯანყი გურიში“. პროლეტკულტის წითელი თეატრის ქართული სექტორიმ მოარგო პრემიერა იქნება „ჯანყი გურიში“ (ვ. ნინოშვილის მოთხრობის მიუხედივით), რომელსაც სდგამს რეჟისორი წუწუნავა.

ბასტილიის აღება“. რეჟისორი ვახტანგ ვარაიკი პროლეტკულტის თეატრში ამზადებს (ქართულად) რომენ როლანის პიესას „ბასტილიის აღება“.

ქართული მსახიობები რუსულ სცენაზე. ამ ქაბათ თბილისში რუსული დრამის სცენაზე მუშაობენ შემდეგი ქართველი მსახიობები: ნაკაშიძე, მესხთელი (ჭლოშვილი), თაყაიშვილი, ვიხრევი (ჩეჩელაშვილი), გომორგი (გომართელი) და ალისა ქიქოძე.

ახალი კინო-თეატრი. თბილისში იხსენება ახალი კინო-თეატრი „ასის“, სადაც შედგმება დღეუკრავს 22 კაცისაგან შემდგარო სიმეზიანი ორკესტრი.

„ქარიშხლის წინა დღეებში“. სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატმა დაამთავრა დიდი კინო სურათის „ქარიშხლის წინა დღეებში“ გადაღება.

სურათი ნაჩვენები იქნება ამ დღეებში.

„ხაჯი-მეზატი“. საქართველოს კინო-მრეწველობის რეჟისორი ი. პერესტიანი შეუდგა ახალი სურათის „ხაჯი-მურატის“ გადაღებას.

სურათში მონაწილეობას მიიღებს 1.000 კაცი. ხაჯი-მურატის როლს ასრულებს შიშა გელოვანი.

„ამბაკო სამანიშვილი“. კინო მრეწველობის რეჟისორი ალ. წუწუნავა შეუდგა ახალი კინო-სურათის „ამბაკო სამანიშვილი“-ს გადაღებას.

სცენარი და მუშაებულობა ბ. კუპრაშვილის მიერ.

„აელიტა“. პირველი იანვრიდან კინო-თეატრ „სოლი“ ში მიდის რუსული კინოფილმ „აელიტა“ (ორივე სერია ერთად), რომელშიაც მთავარ როლებს ასრულებენ მოსკოვის კამერული თეატრის პრემიერი წერეთელი და მსახიობი ქალი ხოლნციევა.

სურათი დადგმულია რუსეთის ცნობილი კინო-რეჟისორის პროკტოზანოვის მიერ.

„ტარიელ მკლავაძე“. ახლო მომავალში საქართველოს კინო-მრეწველობის თეატრებში წავა სურათი „ტარიელ მკლავაძე“, რომელშიაც მთავარ როლებს ასრულებენ ნატა ვ.ჩნაძე, კოტე მიქაბერიძე და ქალაგიძე.

„სურამის ციხე“ ბერლინიში. ბე. ლინში დიდ ინტერესს იწვევს ქართული კინო-სურათი „სურამის ციხე“, რომელსაც აუარებელი ხალხი ესწრება.

მიიღება 1925 წლისათვის ხელისმომწერა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ და ტფილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანოზე

ყოველ დღიურ დიდ პოლიტიკურ გაზეთ

„კომუნისტური“

ხელისმომწერლებს, რომლებიც წინდაწინ უამოტიანენ ხვედრ ფულს დაუბრუნებლად უამღები

უფასო დამატებები:

1. „კომუნისტი“-ს ორკვირეული ლიტერატურული დამატება „ჩირაღდანი“.
2. „კომუნისტი“-ს ორკვირეული დამატება მცენიერება და ტხენიკა“
3. ფ. მახარაძის წიგნი: „მენშევიკური პარტიის დიქტატურა საქართველოში“.
4. ფ. ენგელსის „კომუნისტი“-ს პრინციპები“.
5. ორაგველიძის „რელიგია და მარქსიზმი“
6. მ. ადამიშვილის „კვამში კვამანტირებამ“.

დამატებები განაწილებულ იქნება უამღებ ნიკაღ:

უველა (თვიურიდან დაწყებული) ხელის მომწერით მიეცემა უფასოთ:

„ჩირაღდანი“, „მცენიერება და ტხენიკა“, ორივე გამოცემა დასურათებული იქნება.

6 თვით ხელის მომწერით, რომლებიც წინდაწინ უამოტიანენ ხვედრ ფულს, მიიღებენ:

1. ფ. მახარაძის წიგნი „მენშევიკური პარტიის დიქტატურა საქართველოში“.
2. ფ. ენგელსის წიგნი „კომუნისტი“-ს პრინციპები“
3. კ. ორაგველიძე „რელიგია და მარქსიზმი“
4. „ჩირაღდანი“.
5. „მცენიერება და ტხენიკა“.

1 წ. ხელის მომწერით, რომლებიც წინდაწინ უამოტიანენ ხვედრ ფულს მიიღებენ:

2. ადამიშვილის წიგნი „კვამში კვამანტირებამ“, „ჩირაღდანი“ და „მცენიერება და ტხენიკა“

გაზეთი ეღირება

მუშა - მოსამხანგრეებისათვის, წითელ- არმიელების, მოსწავლეებისა და მასწავ ლებლებისათვის მიტანით.	1 თვით 75 კაბ.	4 თვით 2 მან. 85 კაბ.
	2 " 1 მან. 45 კაბ.	5 " 3 მან. 55 კაბ.
	3 " 2 მან. 15 კაბ.	6 " 4 მან. 25 კაბ.
		ერთი წლით 8 მან. 50 კაბ.

ტფილისში მიტანით.

1 თვით 1 მან.
2 " 1 " 95 კაბ.
3 " 2 " 90 "
4 " 3 " 85 "
5 " 4 " 80 "
6 " 5 " 75 "
1 წლით 11 " 50 "

პროვინციაში გაგზავნით.

1 თვით 1 მან. 20 კაბ.
2 " 2 " 35 "
3 " 3 " 30 "
4 " 4 " 65 "
5 " 5 " 80 "
6 " 6 " 95 "
1 წლით 13 " 85 "

უველა დასარჩენა გისათვის ღირს

საბჭოთა კავშირში გაგზავნით 1 თვით-1 მ. 50 კაბ.

უცხოეთში გაგზავნით 1 თვით 2 მან. 50 კ.

გაზეთს ყავს კორესპოდენტები ჩვენი ქვეყნის ყველა ქალაქებში და დაბებში. საკმაოდ ფართო ქსელი კორესპოდენტებისა მოეპოვება მას ჩვენს სოფლებში. აგრეთვე გვყავს საკუთარი კორესპოდენტები: ბაქოში, ერევანში, კავკავში, მოსკოვში, ლენინგრადში, პარიზში, ლონდონში, ბერლინში და რომში.